კონფლიქტების გაშუქება ქართულ მედიაში

კვლევის ავტორია: ნინო ხუციძე
პერიოდი: 12 მარტი - 12 აპრილი, 2012

მედიის განვითარების ფონდმა განახორციელა მონიტორინგი ქართულ მედიაში კონფლიქტების გაშუქების თემაზე. მონიტორინგი ჩაატარდა „მედია მონიტორინგი – პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული მედიის განვითარებისთვის“ პროექტის ფარგლებში, რომლის ფინანსური მხარდამჭერია ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“.

დაკვირვება, რომლის მთავარი სამიზნე იყო საქართველოს სეპარატისტული რეგიონების ირგვლივ განვითარებული მოვლენები, ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და მოიცვა 2012 წლის 12 მარტიდან 12 აპრილამდე პერიოდი. დროის ეს მონაკვეთი საგანგებოდ შეირჩა, ვინაიდან ის ემთხვეოდა სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთში ე.წ. პრეზიდენტის და აფხაზეთში დე ფაქტო პარლამენტის არჩევნებს.

მონიტორინგის ობიექტებად შეირჩა როგორც სატელევიზიო, ისევე ბეჭდვითი მედია საშუალებები.

კერძოდ, გაანალიზდა ხუთი ტელეკომპანიის: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის, „რუსთავი–2“–ის, „იმედის“, „კავკასიისა“ და „მაესტროს“ დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში გასული სიუჟეტები.

ბეჭდვითი მედიიდან დაკვირვება განხორციელდა ყოველკვირეულ გამოცემებში – „კვირის პალიტრა“, „ასავალ–დასავალი“ და „ქრონიკა“ – დაბეჭდილ პუბლიკაციებზე.

მონიტორინგის ფარგლებში აქცენტი გაკეთდა რაოდენობრივ და შინაარსობრივ კომპონენტებზე. კერძოდ, ყურადღება დაეთმო კონფლიქტების თემატიკის გაშუქების სიხშირეს, მრავალფეროვნებას, ასევე იმ განსხვავებებს და თანხვედრას, რაც განხილული საინფორმაციო საშუალებების ერთმანეთთან შედარების გზით გამოიკვეთა. შეფასდა გაშუქების ტონი, ინფორმაციის წყაროების და ობიექტურობის კომპონენტი.

სატელევიზიო მონიტორინგი

რაოდენობრივი კომპონენტი

ერთთვიანი დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ ტელევიზიები თავიანთ მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ნაკლებ ყურადღებას უთმობენ კონფლიქტური რეგიონების და მათ ირგვლივ განვითარებული მოვლენების გაშუქებას, რაზეც ქვემოთ მოცემული სტატისტიკური ანალიზი მეტყველებს.

ამ თემასთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულ საკითხებს ხუთმა ტელეკომპანიამ: საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველმა არხმა“, „რუსთავი–2“–მა, „იმედმა“, „კავკასიამ“ და „მაესტრომ“ დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში, შესაბამისად, „მოამბე“, „კურიერი“, „ქრონიკა“, „დღეს“ და „ახალი ამბები“, მთლიანობაში სულ 43 სიუჟეტი მიუძღვნა.

არხი	**სიუჟეტების რაოდენობა**
მოამბე, პირველი არხი	14 სიუჟეტი
კურიერი, რუსთავი 2	11 სიუჟეტი
დღეს, კავკასია	9 სიუჟეტი
ახალი ამბები, მაესტრო	6 სიუჟეტი
ქრონიკა, იმედი	3 სიუჟეტი

ხუთივე ტელეკომპანიამ საანგარიშო პერიოდში განხილულ საინფორმაციო გამოშვებებში მთლიანობაში 1 651 სიუჟეტი გადასცა, რომლის მიმართაც საკვლევი თემის წილი 2.6% –ს შეადგენდა.

დიაგრამა#1. კონფლიქტებთან დაკავშირებული სიუჟეტების წილი ყველა ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებებში - 2.6%



მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ კონფლიქტების საკითხების გაშუქების კუთხით საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველი არხი“ ლიდერობს (14 სიუჟეტი), რაც „მოამბეში“ გასული 458 სიუჟეტის 3%–ს შეადგენს.

„პირველ არხს“ პროცენტული მაჩვენებლით უსწრებს ტელეკომპანია „კავკასია“, რომელმაც საანგარიშო პერიოდში მთლიანობაში გაშვებული მასალების (252 სიუჟეტის) 3.5% დაუთმო კონფლიქტების თემატიკის გაშუქებას. ამ შემთხვევაში ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ „კავკასიის“ მთავარი საინფორმაციო გამოშვების ხანგრძლივობა, საანგარიშო პერიოდში, 531 წუთით ჩამორჩებოდა „მოამბის“ საერთო ქრონომეტრაჟს.

„კავკასიას“ პროცენტული მაჩვენებლით მოსდევს „რუსთავი 2“, რომლის 9–საათიან „კურიერში“ სულ გასული 376 სიუჟეტის 2.9% მოდიოდა კონფლიქტების თემაზე; 2.2%–იანი მაჩვენებლით მას მოჰყვება ტელეკომპანია „მაესტრო“, რომელმაც სულ 268 სიუჟეტი გაუშვა მონიტორინგის პერიოდში; ხოლო 1%–იანი მაჩვენებლით ბოლო ადგილზეა ტელეკომპანია „იმედი“, რომელმაც საერთო ჯამში 297 სიუჟეტი გააშუქა საანგარიშო პერიოდში.

დიაგრამა#2. კონფლიქტებთან დაკავშირებული სიუჟეტების პროცენტული მონაცემები ტელევიზიების მიხედვით.
კავკასია 3.5%
პირველი არხი 3%
რუსთავი 2 – 2.9%
მაესტრო – 2.2%
იმედი – 1%



სხვა ტელევიზიებთან შედარებით არსებული მაღალი მაჩვენებლის მიუხედევად, ის ყურადღება, რომელიც პირველმა არხმა საანგარიშო პერიოდში კონფლიქტების თემატიკას დაუთმო, მაინც არასაკმარისია. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ „მოამბის“ განხილული 26 გამოშვებიდან, კონფლიქტებთან დაკავშირებული არცერთი სიუჟეტი პირველ თემად არცერთხელ არ გასულა. 14 სიუჟეტიდან გამოშვების პირველ ხუთეულში 6 სიუჟეტი მოხვდა. (უფრო დეტალურად იხილეთ ცხრილი #1)

ცხრილი #1. პირველი არხი – „მოამბე“

რაოდენობა	**თარიღი**	**მასალის აღწერა**	**სიუჟეტის რიგითობა**
1	13.03.12	ნატო აფხაზურ ე.წ არჩევნებს არ აღიარებს	6
2	15. 03.12	რუსეთის ხელისუფლება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული კანონის გაუქმებას ითხოვს	7
3	17.03. 12	ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მიტოვებული სახლების რეალიზაციისთვის მოსკოველმა გადამყიდველებმა ახალი სერვისი შექმნეს	4
4	20.03.12	მცოცავი აგრესია – აფხაზეთის მარიონეტულ მთავრობას მეთვალყურეს უნიშნავენ	3
5	22.03.12	თეიმურაზ მამსუროვი ცხინვალში მდგომარეობას გააკონტროლებს	6
6	23.03.12	თეიმურაზ მამსუროვი ცხინვალში მდგომარეობას გააკონტროლებს	3
7	23.03.12	ირაკლი ალასანიას წერილი უშიშროების საბჭოსადმი. ოკუპირებული აფხაზეთიდან გამოხმაურება ალასანიას განცხადებაზე	6
8	26.03.12	კულტურული გენოციდი აფხაზეთში	3
9	26.03.12	არჩევნები ოკუპირებულ ცხინვალში	6
10	27.03.12	ბირთვული უსაფრთხოება ოკუპირებულ ტერიტორიებზე	2
11	27.03.12	ცვლილებები სახელმწიფო საიდუმლოებების	3

		შესახებ კანონში	
12	27.03.12	ჯეიმს აპატურაის განცხადება ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩატარებული არჩევნების შესახებ	9
13	30.03.12	ირაკლი ალასანიასა და გრიგორი კარასინის განცხადებების თანხვედრა	6
14	31.03.12	აფხაზეთიდან ათთვიანი ტყვეობის შემდეგ დაბრუნებული ქართველი მეზღვაურები.	2

საანგარიშო პერიოდში, რომლის ფარგლებშიც 9 საათიანი „კურიერის“ 27 გამოშვება იქნა განხილული, „რუსთავის 2“–ზე კონფლიქტების თემაზე გასული 11 სიუჟეტიდან 7 პირველ ბლოკში გავიდა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია სხვა ტელეკომპანიებთან შედარებით. (იხილეთ ცხრილი #2)

ცხრილი #2. „რუსთავი 2“ – „კურიერი“

რაოდენობა	**თარიღი**	**მასალის აღწერა**	**სიუჟეტის რიგითობა**
1	16.03.12	პოლიტიკური გადატრიალება ცხინვალში. ცხინვალში სამოქალაქო ომს ისევ ელოდებიან. მოსკოვი ცხინვალისგან მოპარულ მილიონებს ითხოვს. თბილისში არ გამორიცხავენ, რომ ცხინვალში სამოქალაქო ომი რუსული მილიონების გამო დაიწყოს;	8
2	19. 03.12	არეულობა გალში. ოკუპირებულ აფხაზეთში კრიმინოგენული მდგომარეობა უკონტროლოა. სამართალდამცავები დახმარებას მოსახლეობას სთხოვენ;	3
3	21.03. 12	მოსკოვის წარმომადგენლები ოკუპირებულ ტერიტორიებზე	10
4	22.03.12	კრემლის წარმომადგენლები ოკუპირებულ ტერიტორიებზე;	4
5	23.03.12	ირაკლი ალასანიას წერილი უშიშროების საბჭოსადმი. ოკუპირებული აფხაზეთიდან გამოხმაურება ალასანიას განცხადებაზე	1
6	24.03.12	წინასაარჩევნო დუმილი ცხინვალის ე.წ საპრეზიდენტო არჩევნების წინ	1
7	26.03.12	ცხინვალში ე.წ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური დაინიშნა	2
8	26.03.12	კულტურული გენოციდი აფხაზეთში	7
9	27.03.12	ბირთვული უსაფრთხოება საქართველოში – ოკუპირებული აფხაზეთი მსოფლიოში ბირთვული ტრანზიტის ერთ–ერთ გზად რჩება.	6
10	30.03.12	ირაკლი ალასანიასა და გრიგორი კარასინის განცხადებების თანხვედრა.	3
11	31.03.12	ოკუპირებული ტერიტორიიდან ათთვიანი	5

ტყვეობის შემდეგ დაბრუნებული ქართველი
მეზღვაურები

ტელეკომპანია „კავკასიის“ დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში, რომლის ფარგლებშიც 24 პროგრამა „დღეს“ იქნა განხილული, საანგარიშო პერიოდში გასული 9 სიუჟეტიდან 6 პირველ ბლოკში მოხვდა. აქედან გამხსნელი თემა მხოლოდ ერთ შემთხვევაში იყო. (იხილეთ ცხრილი #3)

ცხრილი #3. კავკასია – „დღეს“

რაოდენობა	**თარიღი**	**მასალის აღწერა**	**სიუჟეტის რიგითობა**
1	16.03.12	ლეიბორისტების ინიციატივა 16 მარტის დაკარგული ტერიტორიების დღედ გამოცხადების თაობაზე.	9
2	16. 03.12	აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპულთა ხსოვნას დღეს პატივი პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა, ომის ვეტერანებმა და დაღუპულთა ახლობლებმა მიაგეს.	10
3	19.03. 12	საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე რუსული გამოცემა „ნოვიე ხრონიკის“ სტატიას გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც საქართველოს ტერიტორიაზე შეიძლება კიდევ ერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო გაჩნდეს.	5
4	20.03.12	მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“–ს ინფორმაციით, საქართველოში ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის ახალი კონფლიქტები მზადდება, რომელშიც რუსეთთან ერთად ირანიც მონაწილეობს.	6
5	24.03.12	აფხაზეთის 20 საარჩევნო ოლქში ე.წ განმეორებითი საპარლამენტო არჩევნები.	2
6	24.03.12	ცხინვალი ე.წ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით დანარჩენ საქართველოსთან ე.წ საზღვარს კეტავს.	6
7	26.03.12	ქართული მხარე ე.წ სამხრეთ ოსეთის არჩევნებს ეთნიკური წმენდის დაკანონებად აფასებს.	2
8	02.04.12	ახალგორის მოსახლეობის ინფორმაციით მათ დე-ფაქტო ხელისუფლება საქართველოს მოქალაქეობის უარყოფის მიზნით განცხადებებს აწერინებს.	1
9	02.04.12	საქართველო კომპანია „ბილაინის“ ვებ-გვერდზე ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით არსებულ ინფორმაციას შვეიცარიის საელჩოს მეშვეობით გააპროტესტებს.	2

„მაესტროს“ განხილულ 23 საინფორმაციო გამოშვებაში კონფლიქტების თემაზე გასული 6 სიუჟეტიდან მხოლოდ 3 მოხვდა პირველ ბლოკში. ამასთან, საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა თემების გამეორების შემთხვევებს. (იხილეთ ცხრილი #4)

ცხრილი #4. მაესტრო – „ახალი ამბები“

რაოდენობა	**თარიღი**	**მასალის აღწერა**	**სიუჟეტის რიგითობა**

1	17.03.12	საქართველო რუსეთის მხრიდან ახალი სამხედრო აგრესიის შესაძლებლობას არ გამორიცხავს.	2
2	19. 03.12	ეთნიკური კონფლიქტის საფრთხე – ჯავახეთში მცხოვრები სომხების მიერ დამოუკიდებლობის შესაძლო გამოცხადებაზე რუსული მედია წერს.	5
3	21.03. 12	სამცხე-ჯავახეთის სომხური საზოგადოებრივი საბჭო საქართველოსგან ავტონომიაზე საუბრობს	4
4	22.03.12	მამუკა არეშიძის ინფორმაციით კვაისაში შესაძლოა რადიოაქტიური ნივთიერებების სამარხი აშენდეს.	8
5	02.04.12	„ბილაინის“ რუსულ ვებ-გვერდზე აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არის მოხსენიებული.	8
6	03.04.12	გიგა ბოკერია რუსეთის მხრიდან მოსალოდნელ საფრთხეებზე საუბრობს.	1

ყველაზე ნაკლები ინტერესი კონფლიქტების თემატიკის მიმართ ტელეკომპანია „იმედმა“ გამოიჩინა. საანგარიშო პერიოდში განხილული „ქრონიკის“ 26 გამოშვებიდან, მხოლოდ სამ მათგანში გაშუქდა ეს საკითხები. მართალია ყველა ეს სიუჟეტი „ქრონიკის“ პირველ ბლოკში მოხვდა, თუმცა სამივე სიუჟეტი გამსჭვალული იყო უფრო მეტად შიდა პოლიტიკური მოტივებით და არ იყო ფოკუსირებული უშუალოდ საკვლევ თემაზე. (იხილეთ ცხრილი #5)

ცხრილი #5. იმედი – „ქრონიკა“

რაოდენობა	**თარიღი**	**მასალის აღწერა**	**სიუჟეტის რიგითობა**
1	23.03.12	ირაკლი ალასანიას მიერ გაკეთებულ განცხადებას ოკუპირებული აფხაზეთიდან ეხმაურებიან	1
2	30. 03.12	გრიგორი კარასინის და ირაკლი ალასანიას განცხადებების თანხვედრა.	2
3	31.03. 12	ოკუპირებული ტერიტორიიდან ათთვიანი ტყვეობის შემდეგ დაბრუნებული ქართველი მეზღვაურები	3

შინაარსობრივი კომპონენტი

რაც შეეხება კონფლიქტების გაშუქების შინაარსობრივ სტრუქტურას, საანგარიშო პერიოდში განხილული საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტების ანალიზმა აჩვენა, რომ ხშირია თემების გამეორება, თუმცა ასევე იშვიათი გამონაკლისის სახით გვხვდება ცალკეული ექსკლუზიური მასალებიც. ამასთან, ცალკეული თემები ყველა ტელევიზიის ან ზოგიერთი მათგანის მიერ მთლიანად იგნორირებული იყო.

კვლევა, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად ფოკუსირებული იყო საქართველოს სეპარატისტული რეგიონების ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე.

საანგარიშო პერიოდში რამოდენიმე მნიშვნელოვან მოვლენას ჰქონდა ადგილი, მათ შორის სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთში ლიდერის განმეორებითი არჩევნების ორი ტური გაიმართა; შედგა ე.წ. საპარლამენტო არჩევნები აფხაზეთში; გაიმართა ჟენევის

დისკუსიების სახელწოდებით ცნობილი მოლაპარაკებები, რაც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შექმნილი ერთადერთი ფორმატია, სადაც 2–4 თვეში ერთხელ საერთაშორისო წარმომადგენლების ჩართულობით მხარეები მაღალ დონეზე განიხილავენ პრობლემურ საკითხებს; სეპარატისტულ რეგიონებში დაინიშნენ რუსეთის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლები; სამეგრელოში არაფორმალური შეიარაღებული ჯგუფების შექმნის შესახებ ოპოზიციონერი პოლიტიკოსის ირაკლი ალასანიას ხელისუფლების მიმართ ბრალდებას სოხუმისა და მოსკოვის განცხადებები მოჰყვა საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ.

სეპარატისტულ რეგიონებში გამართული არჩევნების თემა მეტ-ნაკლები ინტენსივობით გააშუქეს „პირველმა არხმა“, „რუსთავი 2-მა“ და „კავკასიამ“, თუმცა განხილულ დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ამ საკითხებს არ შეხებიან ტელეკომპანიები “მაესტრო“ და „იმედი“.

სეპარატისტულ რეგიონებში ჩატარებული არჩევნებისთვის მიძღვნილი „მოამბის“ სამივე სიუჟეტის ფაბულა აღებული იყო ამ მოვლენის არალეგიტიმურად გამოცხადებაზე თბილისის და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ. მხოლოდ სამხრეთ ოსეთზე გაშვებულ სიუჟეტში იყო ზედაპირულად აღნიშნული ჟურნალისტის მიერ, რომ „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ფარსმა, სახელად არჩევნები, გამარჯვებული ისევ ვერ გამოავლინა. კგბ-ს ყოფილმა აგენტმა ლეონიდ თიბილოვმა და დავით სანაკოევმა ე.წ. მეორე ტურში გასვლა მოახერხეს“, რაც არასრულყოფილ ცნობებს შეიცავდა კანდიდატებზე. ჟურნალისტის ტექსტი სრულად ემთხვეოდა იმ კომენტარების შინაარსს, რომლებსაც ამ საკითხებზე ხელისუფლების თუ საექსპერტო წრეების წარმომადგენლები აკეთებდნენ. სიუჟეტები იყო არაინფორმატიული, ანალიზისგან დაცლილი და ვერ შეუქმნიდა წარმოდგენას მაყურებელს იმის შესახებ, თუ რეალურად რა ტიპის ძალები იმარჯვებდნენ სეპარატისტულ რეგიონებში, რა მოვლენები უძღოდა წინ ამ არჩევნებს ან რა სიახლე შეეძლო მოეტანა მას კონფლიქტების მოგვარების პერსპექტივის თვალსაზრისით.

ანალოგიური მიდგომებით გაშუქდა ეს თემა „კურიერშიც“. ერთ-ერთ სიუჟეტში, რომელიც სამხრეთ ოსეთის ახალი ლიდერის განმეორებით არჩევნებს ეხება, ჟურნალისტი ამბობს: „რამდენიმე სააგიტაციო მანქანა და საარჩევნო პლაკატი დანგრეული ქუჩებისა და ნახევრად ჩამოშლილი სახლების ფონზე ეს არის ერთადერთი ნიშანი, რომ სამხრეთ ოსეთის საოკუპაციო რეჟიმი მორიგი არჩევნებისთვის ემზადება“. ამ ტექსტს თან გასდევდა, სავარაუდოდ, ცხინვალის „დანგრეული“ ქუჩების კადრები. შემდეგ ჟურნალისტი კანდიდატების ვინაობის დასახელების გარეშე განაგრძობს: „ის, რომ ოთხიდან არცერთი კანდიდატის გეგმებში სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის საარსებო პირობების გაუმჯობესება არ შედის, ამაზე თბილისში ღიად საუბრობენ“.

ამ ნაციონალურ არხებთან შედარებით გაცილებით ინფორმატიული, დაბალანსებული და ამომწურავი იყო ტელეკომპანია „კავკასიის“ მიერ სეპარატისტული რეგიონების არჩევნებთან დაკავშირებით მომზადებული სიუჟეტები, სადაც დეტალურად იყო მოთხრობილი, თუ რომელმა კანდიდატებმა

მიიღეს მონაწილეობა (ნაჩვენები იყო მათი ვიზუალი), ხმათა რა რაოდენობა დააგროვეს, არჩევნებში ამომრჩეველთა რა პროცენტულმა მაჩვენებელმა მიიღო მონაწილეობა, ვინ გახდა გამარჯვებული და ა.შ. და ამასთან ერთად, იქვე მოყვანილი იყო საქართველოს ხელისუფლებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის პოზიცია არჩევნების არალეგიტიმურობის თაობაზე. „კავკასიის“ სიუჟეტები ასევე იმითაც გამოირჩეოდა, რომ მასში დამოუკიდებელი ექსპერტები აკეთებდნენ, როგორც შემდგომში მოვლენათა განვითარებამ აჩვენა, რეალისტურ პროგნოზებს. ერთ-ერთ სიუჟეტში კონფლიქტების თემაზე მომუშავე ექსპერტი პაატა ზაქარეიშვილი ამბობს, რომ საქართველომ უნდა შეცვალოს პოლიტიკა როგორც აფხაზეთის, ისე ცხინვალის რეგიონის მიმართ და დაამყაროს კონტაქტი მმართველობაში მოსულ ახალ ლიდერებთან მიუხედავად იმისა, რომ ისინი არაკანონიერი არჩევნებით მოვიდნენ დე ფაქტო ხელისუფლების სათავეში და ყველა მათგანი პრორუსული პოლიტიკის გამტარებელია.

საყოველთაოდ გავრცელებულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ტელევიზიები პირობითად ორ ბანაკად იყოფიან: სახელისუფლებო ტელეარხებად მოიაზრებიან ნაციონალური მაუწყებლები - პირველი არხი, „რუსთავი 2“ და „იმედი“, ხოლო ოპოზიციურად - „კავკასია“ და „მაესტრო“. მათი დაყოფა ასევე შესაძლებელია გეოგრაფიული დაფარვის ზონის მიხედვით – თუ „კავკასია“ და „მაესტრო“, ძირითადად, დედაქალაქის მაცხოვრებელებისთვის არის ხელმისაწვდომი, დანარჩენი სამი არხი მთელ საქართველოს ფარავს, რაც მათ მაყურებელთა ინფორმირებულობის თვალსაზრისით შესაბამისი პროპორციულობის პასუხისმგებლობას აკისრებს.

სატელევიზიო პოლარიზება ნათლად გამოჩნდა საანგარიშო პერიოდის ერთი–ერთი აქტუალური თემის გაშუქების დროს. საუბარია ოპოზიციონერი პოლიტიკოსის ირაკლი ალასანიას განცხადებაზე, რომელშიც მან ხელისუფლებას კონფლიქტისპირა სამეგრელოს რეგიონში საარჩევნო მიზნით უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნაში დასდო ბრალი. ნაციონალური არხებისაგან განსხვავებით, ეს განცხადება ფართოდ გააშუქეს „მაესტრომ“ და „კავკასიამ“, თუმცა მას შემდეგ, რაც ალასანიას განცხადება სოხუმმა და მოსკოვმა საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ თავდასხმისთვის გამოიყენეს, ეს თემა უკვე სამივე ნაციონალურმა არხმა აიტაცა იმ კუთხით, რომ წარმოეჩინა ოპოზიციის „უპასუხისმგებლობა“. ამ ჭრილში „მაესტროს“ და „კავკასიის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებებს ეს თემა უკვე აღარ წამოუწევიათ წინ.

კონფლიქტების თემატიკის თვალსაზრისით საანგარიშო პერიოდში ნაციონალურმა არხებმა რამოდენიმე ერთნაირი საკითხი გააშუქეს, რომლებიც „მაესტროსა“ და „კავკასიის“ ეთერებში არ გასულა. თუმცა იყო რამოდენიმე შემთხვევა, როცა ნაციონალური არხების ყურადღების მიღმა დარჩა ის თემები, რაც „მაესტროსა და კავკასიის“ აუდიტორიისთვის იყო ხელმისაწვდომი.

მაგალითად, 26 მარტს „მოამბესა“ და „კურიერში“ გავიდა სიუჟეტები, რომლებიც ეხებოდა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების გეგმებს ქართული კულტურის ძეგლების რესტავრაციასთან დაკავშირებით. ორივე სიუჟეტი იწყებოდა დე ფაქტო

პრეზიდენტის ალექსანდრე ანქვაბის კადრებით, ძირითადად, ემთხვეოდა ის ქართველი რესპოდენტები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ეს იყო კრემლის გეგმის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული კვალის წაშლას, და გრძელდებოდა ინფორმაციით იმის შესახებ, რომ თბილისი პრევენციის მიზნით იუნესკოსთვის ოფიციალური წერილის გაგზავნას აპირებდა. 27 მარტს ამ ორმა არხმა ბირთვულ უსაფრთხოების თემაზე მოამზადა სიუჟეტები, რომლებიც მართალია სტრუქტურული აგებულებით ერთმანეთის იდენტური არ იყო, თუმცა ორივე მათგანში ფიგურირებდა აზრი, რომ ოკუპირებული ტერიტორიები ბირთვული კონტრაბანდის მთავარ სატრანზიტო გზას წარმოადგენენ, რომ კონტრაბანდის რამოდენიმე შემთხვევა ქართველმა სამართალდამცავებმა აღკვეთეს და რომ უკონტროლო ტერიტორიებზე ყველა შესაბამისი რადიოაქტიური ნივთიერება არსებობს, რაც „ბინძური ბომბის“ დასამზადებლად არის საჭირო - ეს უკანასკნელი ცნობა ეყრდნობოდა ანონიმურ წყაროს.

მხოლოდ ნაციონალური არხების ინტერესის არეალში მოექცა და ფაქტიურად იდენტურად გაშუქდა ქართველი მეზღვაურების გათავისუფლება „ათთვიანი ტყვეობის“ შემდეგ, რომლებიც ენგურის ხიდზე დე ფაქტო ხელისუფლებამ წითელი ჯვრის წარმომადგენელთა თანხლებით გადასცეს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს. „მოამბეში“ წამყვანმა ამ თემის გაშუქება დაიწყო სიტყვებით: „ქართველი მეზღვაურების ათთვიანი ტყვეობა ოკუპირებულ აფხაზეთში დასრულებულია“, რაც იწვევდა არასწორ ასოციაციას თითქოს ამ „ტყვეობაში“ რაიმე ბრალი მიუძღვოდა აფხაზურ მხარეს. მეზღვაურები სოხუმში მას შემდეგ აღმოჩნდნენ, რაც თურქული გემით, რომლის ეკიპაჟის წევრებადაც მუშაობდნენ, მედიის ცნობით, მოტყუებით ჩაიყვანეს სეპარატისტულ რეგიონში. გათავისუფლების თემა გამოიყენა წარმოშობით სოხუმელმა ეკონომიკის მინისტრმა ვერა ქობალიამ, რომელმაც აფხაზური მხარის წარმომადგენლები დანარჩენ საქართველოში არსებული მიღწევების დასათვალიერებლად უშედეგოდ მოიწვია მათთან პირისპირ გამართული დიალოგის დროს – ამ ეპიზოდზე სამივე ნაციონალურმა არხმა პროპაგანდისტულ სტილში განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა.

სეპარატისტულ რეგიონებში რუსეთის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლების დანიშვნა, განხილულ სიუჟეტებში, ტელეკომპანია „კავკასიის“, „მაესტროსა“ და „იმედის“ ყურადღების მიღმა აღმოჩნდა მაშინ, როცა „რუსთავი 2“-მა და „პირველმა არხმა“ ეს საკითხი ზედიზედ 2-3 დღის განმავლობაში ინტენსიურად გააშუქეს.

მეორეს მხრივ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, საანგარიშო პერიოდში გამოკვეთა თემები, რომლებიც მხოლოდ „მაესტროსა“ და „კავკასიის“ მიერ გაშუქდა. მაგალითად, „ბილაინის“ ვებ-გვერდზე აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მოხსენიებას ამ არხებმა საგანგებო სიუჟეტები მიუძღვნეს.

მართლია დაკვირვების ძირითად ფოკუსს საქართველოს სეპარატისტული რეგიონები წარმოადგენდნენ, მაგრამ ინტერესის სფეროში მოექცა სიუჟეტები პოტენციური კონფლიქტის შესაძლებლობის შესახებ, რომლებსაც ყურადღება მხოლოდ „მაესტრომ“ და კავკასიამ“ დაუთმეს დღის მთავარ საინფორმაციო

გამოშვებებში. თემის აქტუალიზაცია „მაესტროსა“ და „კავკასიის“ მიერ მომზადებული ორ–ორი სიუჟეტით მოხდა. საკითხი შეეხებოდა ეთნიკური სომხებით დასახლებულ ჯავახეთში სეპარატისტულ საფრთხეს და ავტონომიის შესაძლო მოთხოვნას. ინფორმაციის წყაროდ ერთ შემთხვევაში გამოყენებული იყო არცთუ ავტორიტეტულ რუსულ გამოცემაში გამოქვეყნებული სტატია, რომლის შინაარსის უარყოფაზე იყო აგებული მთელი სიუჟეტი – მას არ ეთანხმებოდა არცერთი რესპოდენტი (საქართველოს ოფიციალური პირები, ექსპერტები და საქართველოს მოქალაქე ეთნიკურად სომეხი საზოგადოებრივი აქტივისტები), როგორც საფუძველს მოკლებულს და არარეალისტურს. 21 მარტს ამ თემაზე გასული სიუჟეტის ბოლოს „მაესტროს“ ჟურნალისტი საკუთარ რესპოდენტებზე დაყრდნობით ასკვნის: „მსგავსი პროვოკაციული განცხადებებით ვითარების დაძაბვას მეზობელი რუსეთი ცდილობს“. ასეთი სენსიტიური თემები მედიის მხრიდან განსაკუთრებული სიფრთხილით მიდგომას საჭიროებს, რათა მათ ხელოვნურად წინ წამოწევას რაიმე სახის გამწვავება არ მოჰყვეს შედეგად, ხოლო მეორეს მხრივ, არ მოხდეს პრობლემის იგნორირება, თუკი ასეთი ბუნებაში მართლაც არსებობს.

ბეჭდვითი მედიის მონიტორინგი

მონიტორინგის ფარგლებში დაკვირვების ობიექტს წარმოადგენდა სამი ყოველკვირეული საზოგადოებრივ–პოლიტიკური გამოცემა: „კვირის პალიტრა“, „ქრონიკა“ და „ასავალ-დასავალი“. განხილულ იქნა საანგარიშო პერიოდში დაბეჭდილი სტატიები.

უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანობაში განხილულ 11 სტატიაში, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, არ არის წარმოდგენილი თემის სიღრმისეული ანალიზი, ძირითადად, ინტერვიუების ფორმით არის დაბეჭდილი მასალები, რომელთა დიდი ნაწილიც ეძღვნება კონფლიქტის განვლილ ქრონიკებს და არა ამჟამინდელ მდგომარეობას, მოგვარების გზებს და ა.შ.

საგანგებო აღნიშვნას მოითხოვს ის ფაქტიც, რომ განსხვავებით სატელევიზიო მედიისგან, განხილული პრესა საერთოდ არ უთმობს არანაირ სასტატიო სივრცეს ორივე სეპარატისტულ რეგიონში საანგარიშო პერიოდში გამართულ არჩევნებს. ვფიქრობთ, რომ ქართველი მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ტიპის ძალები და პერსონები მოდიან აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონების მმართველობით რგოლებში.

მიმდინარე მოვლენების ადეკვატურად გაშუქების კუთხით გამოირჩევა „კვირის პალიტრის“ პუბლიკაციები დანარჩენ ორ გაზეთთან შედარებით.

„კვირის პალიტრა“, რომელმაც საანგარიშო პერიოდში სულ 4 პუბლიკაცია მიუძღვნა კონფლიქტებთან დაკავშირებულ საკითხებს, აშუქებს თემებს დაწყებული

ოკუპირებული ტერიტორიების სიახლოვეს მოსახლეობის წინაშე არსებული საგადასახადო პრობლემებიდან დამთავრებული 90-იან წლებში განვითარებული მოვლენების ცალკეული ეპიზოდებით.

რუსეთში მოღვაწე პოლიტოლოგთან და ჟურნალისტთან ნიკოლაი სვანიძესთნ ინტერვიუში, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტის კითხვები ისეთ აქტუალურ თემებზე ფოკუსირდება, როგორიცაა საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში რუსეთის პრეზიდენტების სპეციალური წარმომადგენლების დანიშვნა, ცხინვალის რეგიონის ჩრდილოეთ ოსეთთან მიერთების შესაძლებლობა, საქართველოს მიერ რუსეთის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გაუქმების სანაცვლოდ რუსეთის „ხისტი“ პასუხი იმის შესახებ, რომ შემხვედრ ნაბიჯს მოსკოვი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის გაუქმების სანაცვლოდ გადადგამს.

„ხელისუფლების შეიარაღებული ბანდფორმირებები უკვე ყველა ქალაქსა და სოფელშია“ - ამ სათაურის სტატიით „კვირის პალიტრა“ ოპოზიციონერი პოლიტიკოსის, ირაკლი ალასანიას მიერ ხელისუფლების წინააღმდეგ გახმოვანებულ ბრალდებებს ეხმაურება. თუმცა ეს სტატია მხოლოდ მბრალმდებელი მხარის პოზიციებს ეყრდნობა და მასში არ არის წარმოჩენილი მეორე მხარის, ხელისუფლების პოზიცია, რაც მას დაუბალანსებელს ხდის.

ასევე დაუბალანსებლად შეიძლება შეფასდეს სტატია, რომელშიც „კვირის პალიტრას“ ორი რესპოდენტი ესაუბრება იმ პრობლემაზე, რომელიც მათი თქმით, ოკუპირებული ტერიტორიების უშუალო სიახლოვეს მდებარე სოფლების მაცხოვრებლებს ექმნებათ, რადგან ხელისუფლება მათ აიძულებს იმ მიწებზე საიჯარო გადასახადის გადახდას, რომლითაც ვერ სარგებლობენ, რადგან ომის შედეგად ხელისუფლების მიერ უკონტროლო ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩა. ამ სტატიაში არ ჩანს ხელისუფლების პოზიცია. ცნობილია, რომ ამ თემის აქტუალიზაციის შემდეგ მთავრობამ მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები დაგროვილი გადასახადების ჩამოწერის და მიწის გადასახადისაგან ამ მოსახლეობის გათავისუფლების თაობაზე.

საანგარიშო პერიოდში, გაზეთმა „ქრონიკამ“ კონფლიქტებთან მეტ-ნაკლებად დაკავშირებული თემების შემცველი 4 მასალა გამოაქვეყნა, აქედან სამი ინტერვიუ და ერთი სარეკლამო სტატია.

ერთ-ერთ ინტერვიუში აფხაზეთში 90-იანი წლების კონფლიქტის დროს ქართველი და აფხაზი მშვიდობიანი მოსახლეობის ერთმანეთში გაცვლის პროცესზე საუბრობს გაზეთ „ქრონიკის“ რესპოდენტი, გვარდიის მაიორი მალხაზ თოფურია. თუმცა მისი მიზანი ის უფროა, რომ ამ საქმეში საკუთარი წვლილი წარმოაჩინოს და „20-წლიანი დუმილის შემდეგ“ ამხილოს სახელმწიფო მინისტრი გია ბარამიძე, რომელიც, რესპოდენტის თქმით, „არანაირ ტყვეებს არ ცვლიდა“ და „უბრალოდ ქულებს იწერდა სხვის გაკეთებულ საქმეებზე“. ტყვეთა გაცვლის აღწერის კონტექსტში საინტერესოა ინტერვიუს ის მონაკვეთები, როცა რესპოდენტი ერთის მხრივ, საუბრობს „აფხაზების მხრიდან ყოველდღე ვინმეს მოკვლაზე“, მეორეს მხრივ, კი ხაზს უსვამს აფხაზების მიერ გაკეთებულ „ადამიანურ სიკეთეებს“. ჟურნალისტი რესპოდენტის

ინფორმაციაზე დაყრდნობით ასკვნის, რომ სხვისი „ღვაწლი ბარამიძემ უნამუსოდ მიისაკუთრა“ – არსად ჩანს მისი მცდელობა, რომ დაიცვას ბალანსი და მეორე მხარესთან გადაამოწმოს ინფორმაციის სიზუსტე.

ანალოგიურ პრობლემა იკვეთება გაზეთ „ქრონიკის“ კიდევ ერთ ინტერვიუში „რუსეთიდან გამოდევნილ“ ჟურნალისტთან გიგა ლიპარტელიანთან, რომელიც ოპოზიციონერი პოლიტიკოსის ბიძინა ივანიშვილის საწინააღმდეგო ბრალდებებს შორის იმასაც ამტკიცებს, რომ არჩევნებამდე მოსალოდნელია რუსეთის მხრიდან პროვოკაციების და სისხლისღვრის მოწყობა აფხაზეთთან, სამეგრელოსთან და ამ საქმეში „ბიძინა“ უნდა იყოს“ რუსეთის გვერდით“, გახდეს მისი პარტნიორი იმ ფულით, რომელსაც ის რუსეთში არსებული ქონების გაყიდვის შედეგად აიღებს. ჟურნალისტი რესპოდენტს არ ეძიება, რათა გაიგოს რამდენად სარწმუნოა მისი ეს განცხადება და სანაცვლოდ უსვამს კითხვას: „როდის არის ეს საშინელება მოსალოდნელი?“.

„ქრონიკის“ კიდევ ერთი მასალა ეძღვნება 90-იან წლებში აფხაზეთის ომის ამბებს, რომლებსაც ყოფილი მხედრიონელი დოდო გუგეშაშვილი ყოფილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას და მისი მომხრეების საწინააღმდეგო კონტექსტში ყვება. განსაკუთრებულად მძაფრია მისი სიტყვები სტატიის დასასრულს, სადაც რესპოდენტი ამბობს, რომ სეპარატისტები და „ბოევიკები“ ჩრდილოეთ კავკასიიდან „საქართველოსთვის ნასროლი ტყვიით მკერდშენგრეულ ბიჭებს ჰალსტუხებად უკეთებდნენ საკუთარ ენას, მკერდს აგლეჯდნენ ქალებს და ორსულებს მუცლებს უფატრავდნენ... ჩექმის ქუსლით სრესდნენ ჩვილებს“. უდავოა, რომ ასეთი ლექსიკა შეიარაღებული კონფლიქტის მოგონებებს უარყოფით კონტექსტში ამძაფრებს და მას მხოლოდ კონტრპროდუქტიული ეფექტი შეიძლება ჰქონდეს.

საანგარიშო პერიოდში გაზეთ „ასავალ-დასავალის“ გვერდებზე კონფლიქტებთან დაკავშირებული საკითხები სულ სამ სტატიაში იქნა განხილული.

ორ მათგანში ძალიან ეპიზოდურად და ზედაპირულად გატარებულია აზრი იმის შესახებ, რომ რუსეთის პრეზიდენტად ვლადიმერ პუტინის ხელახლა არჩევამ შესაძლოა სეპარატისტული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნების პერსპექტივა გააჩინოს. მაგალითად, „საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი არნო ხიდიმბეგაშვილი, რომელმაც პუტინს „კანონზომიერი“ გამარჯვება მიულოცა, როგორც „სიკეთის გამარჯვება ბოროტებაზე“ და ამ პათოსით გამოწვეულ კრიტიკას პასუხობს საავტორო სტატიაში, აცხადებს: „ის, ვინც ქართველებს აფხაზებთან, ოსებთან და რუსებთან შეგვარიგებს, რის შემდეგაც ჩვენ ერთმანეთს უწინდებურად სულში ჩავიძვრენთ ერთიანსა და აყვავებულ ქვეყანაში, ჩემთვის სიკეთისთვის მებრძოლი უდიდესი რაინდი იქნება“.

„ახალგორის რაიონი რუსებს აჩუქეს! დიახ აჩუქეს! გაყიდულები ვართ“, აცხადებს წეროვანის დასახლებაში მცხოვრები ახალგორიდან დევნილი ქალბატონი გაზეთ „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში, სადაც მას ჟურნალისტი თხოვს მოყვეს „ე.წ. გეტოებში ჩასახლებული დევნილების გასაჭირი“. ჟურნალისტის ამ კითხვაში ღიად ჩანს მისი ოპოზიციური და მიკერძოებული განწყობა. ამავე

ინტერვიუში რესპოდენტი აცხადებს, რომ „ბომბი“ იყო ჩადებული იმაში, რომ ახალგორი 2008 წლის ომამდე სამხრეთ ოსეთის დროებით ადმინისტრაციას დაუქვემდებარეს. „სანაკოევი ახლა თბილისში თავისუფლების მოედანზე ყავთ გამოჭიმული და კიდევ ფულს აკეთებინებენ“, რომელსაც, მისი თქმით, „სამხრეთ ოსეთში ძალაუფლება რომ ჩაუვარდეს ხელში, ისევ ჩვენ მოგვიშვერს ავტომატს, როგორც ამას ადრე აკეთებდა“.

ზოგადად, უნდა აღნიშნოს, რომ არცერთი ყოველკვირეული გაზეთი არ უთმობს სათანადო ყურადღებას მიმდინარე აქტუალურ მოვლენებს და მათ გაანალიზებას. თუმცა ამ დასკვნის გამოტანა შესაძლებელია მხოლოდ საანგარიშო პერიოდთან მიმართებაში.

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

შესავალისთვის უნდა ითქვას, რომ როგორც ბოლო პერიოდში ჩატარებული არაერთი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ავტორიტეტული კვლევა აჩვენებს, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემატიკა იმ საკითხთა წამყვან სამეულში ლიდერობს, რომელიც საქართველოს საზოგადოებას ყველაზე მეტად აღელვებს.

თუმცა აღნიშნული ინტერესის არეკვლა მედია საშუალებებში არასათანადო ხასიათს ატარებდა საანგარიშო პერიოდში, მითუმეტეს, რომ კონფლიქტებთან დაკავშირებული თემების ნაკლებობით დროის ეს მონაკვეთი ნამდვილად არ გამოირჩეოდა. დაკვირვების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ტელევიზიები უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ამ საკითხებს, ვიდრე განხილული ყოველკვირეული გაზეთები. თუმცა ჟურნალისტური სტანდარტების დაცვის კუთხით პრობლემები ორივე მიმართულებით აღინიშნება.

რეკომენდაციები

- გაშუქების ინტენსივობის გაზრდა ყველა მნიშვნელოვანი თემის დაფარვის გზით;
- ჟურნალისტების პროფესიული კომპეტენციების გაძლიერება, რათა მათი პროდუქტი იყოს დაბალანსებული, ფაქტებზე დაფუძნებული, სარწმუნო და ეყრდნობოდეს რამოდენიმე წყაროს;
- კარგად გააზრება პრინციპის, რომ ჟურნალისტის საქმიანობა კონფლიქტის არა თუ გაღვივების, არამედ პრევენციის ხელმშემწყობი უნდა იყოს;
- ამ სენსიტიური თემატიკის პროპაგანდისტული ელფერისგან და სიძულვილის ენისაგან მაქსიმალურად გათავისუფლება;
- ნდობის აღდგენისკენ მიმართული თემების აქტუალიზაცია.